სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/64

ქ. თბილისი 8 დეკემბერი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკური ცენტრის“ დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების, (სხდომის ოქმი №8), სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის, ბორის გითოლენდიას 2025 წლის 15 ნოემბრის MES 9 25 0001618344 სამსახურებრივი ბარათის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 18 ნოემბრის №01-05-04/184 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 8 დეკემბრის №01-06-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2010 წლის 22 დეკემბრის №4 სხდომის №5 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკური ცენტრის" დებულებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები და დებულების:

ა) დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი - „სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკური ცენტრის დებულება";
ბ) დებულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი - „სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკური ცენტრის" (შემდგომში-ცენტრი) სტატუსს, მიზნებსა და ამოცანებს";
2. შეტანილ იქნეს ცვლილება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ სატრანსპორტო სისიტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულებაში და დებულების მე-17 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს „უ" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:
„უ)" სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკური ცენტრი";
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**